



აგრიმატკო ჯორჯია
AGRIMATCO GEORGIA

შპს აგრიმატკო ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება

თანდართული დამოუკიდებელი აუდიტორების ანგარიშით

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორების ანგარიში	3
--	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. მომზადების საფუძველი.....	9
3. კრიტიკული სააღრიცხვო გაანგარიშებები და განსჯები	9
4. ძირითადი საშუალებები	10
5. მატერიალურ-საწარმოო მარაგები	11
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	11
7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12
8. სესხები.....	13
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13
10. შემოსავლები.....	13
11. გაყიდვების თვითღირებულება.....	13
12. კომერციული ხარჯები	14
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	14
14. გაუფასურების ზარალი	14
15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	14
16. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ	15
17. ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები	15
18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება.....	16

დამოუკიდებელი აუდიტორების ანგარიში

შპს აგრიმატკო ჯორჯიას აქციონერებისა და მმართველების წინაშე

მოსაზრება

ჩვენ განვახორციელეთ შპს აგრიმატკო ჯორჯიას (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და საერთო შემოსავლის ანგარიშგებას, სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების ჩათვლით.

ჩვენი მოსაზრებით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ჯეროვნად ასახავს, ყველა არსებითი გარემოების გათვალისწინებით, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ფინანსურ შესრულებას და ფინანსურ ნაკადებს დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო სუბიექტების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS-ს SMEs) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი განვახორციელეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ამ სტანდარტების მიხედვით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები აღწერილია ჩვენი ანგარიშის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში აუდიტორის პასუხისმგებლობების ნაწილში.

ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (IESBA კოდექსი) და ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც რელევანტურია ჩვენი ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის საქართველოში, და ჩვენ შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური პასუხისმგებლობები ამ მოთხოვნებისა და IESBA კოდექსის შესაბამისად.

ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების დასაბუთებისთვის.

მენეჯმენტისა და იმ პირების პასუხისმგებლობა, რომელთაც ევალებათ ფინანსური ანგარიშგების პროცესის მართვა

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და ჯეროვან წარდგენაზე IFRS-ს SME-ის შესაბამისად მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, და იმ შიდა კონტროლისთვის, რომელსაც მენეჯმენტი ადგენს, რომ აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადება არსებითი შეცდომების გარეშე, იქნება ეს თაღლითობის თუ შეცდომის გამო.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, გამოავლინოს, რამდენადაც შესაძლებელია, ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები ანგარიშგების საფუძველზე, თუ მენეჯმენტი არ აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან ოპერირების შეწყვეტას, ან არ აქვს ამის გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მმართველობაზე პასუხისმგებელ პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორების პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული გარანტია იმასთან დაკავშირებით, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს არსებით ცდომილებებს, იქნება ეს თაღლითობის თუ შეცდომის მიზეზით, და გამოვცეთ აუდიტის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

გონივრული გარანტია გულისხმობს მაღალი დონის დაზღვევას, თუმცა ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISA-ს შესაბამისად წარმოებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით ცდომილებას მისი არსებობის შემთხვევაში.

არასწორი ინფორმაცია შეიძლება იყოს თაღლითობის ან შეცდომის შედეგი და ითვლება არსებითად თუკი, ცალკეულად ან ერთობლიობაში მათ შეუძლიათ, გავლენა მოახდინონ მომხმარებლების გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც ისინი მიიღებენ ამ ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის ფარგლებში, ISA-ს შესაბამისად, ვეყრდნობით პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში. ასევე ჩვენ:

- ვავლენთ ფინანსურ ანგარიშგებაში, როგორც გაყალბებით, ასევე შეცდომით გამოწვეული არსებითი ცდომილების რისკებს, შევიმუშავებთ და განვახორციელებთ ამ რისკების შესაბამის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომელიც შესაბამისი და საკმარისია ჩვენი მოსაზრების დასაბუთებისთვის. თაღლითობის შედეგად წარმოქმნილი არსებითი შეცდომის გამოვლენლობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის გამო, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს შეთქმულებას, გაყალბებას, განზრახ დამალვას, არასწორ ინფორმაციას ან შიდა კონტროლისთვის გვერდის ავლას.
- ვეცნობით აუდიტის პროცესისთვის რელევანტური შიდა კონტროლის სისტემას, რათა შევიმუშაოთ გარემოებებთან შესაბამისი აუდიტის პროცედურები, თუმცა არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობასთან დაკავშირებით.
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და მენეჯმენტის მიერ განხორციელებული სააღრიცხვო შეფასებების და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მართებულობას.
- ვასკვნით, რამდენად სათანადოდ იყენებს კომპანია მიმდინარე საწარმოს ანგარიშგების საფუძველს, და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, არსებობს თუ არა არსებითი გაურკვევლობა იმ მოვლენებსა თუ პირობებთან დაკავშირებით, რომელმაც შეიძლება კომპანიის საქმიანობის გაგრძელების უნარი მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი გაურკვევლობა, გვევალება, ჩვენს აუდიტის ანგარიშში ყურადღება მივაქციოთ ანგარიშგების შესაბამის მონაცემებს, და თუ ეს მონაცემები არ არის შესაბამისი, შევცვალოთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის თარიღამდე მოპოვებულ ინფორმაციას. თუმცა კომპანიას მიმდინარე საწარმოდ ფუნქციონირებაში შესაძლოა მომავლის მოვლენებმა და პირობებმა შეუშალოს ხელი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშის საერთო პრეზენტაციას, სტრუქტურას და შინაარსს, წარმოადგენთ შესაბამის ტრანზაქციებსა და მოვლენებს იმგვარად, რომ უზრუნველყოთ ჯეროვანი პრეზენტაცია.

კომუნიკაცია გვაქვს მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებთან, გარდა სხვა საკითხებისა, აუდიტის დაგეგმილი ფარგლებისა და ვადების, ასევე აუდიტის მნიშვნელოვანი მიგნებებისა და აუდიტის განმავლობაში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამ დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიშში წარმოდგენილ აუდიტზე პასუხისმგებელი შემსრულებელი პარტნიორია:

დავით დარსაველიძე

შპს ბდო აუდიტის სახელით

თბილისი, საქართველო

6 ივლისი, 2023

შპს აგრიმატკო ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	მენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	207,778	251,141
არამატერიალური აქტივები		1,702	2,011
		209,480	253,152
მიმდინარე აქტივები			
მატერიალურ-საწარმოო მარაგები	5	1,553,837	2,175,308
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	277,595	553,866
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	897,506	955,972
		2,728,938	3,685,146
სულ აქტივები		2,938,418	3,938,298
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		476,113	476,113
გაუნაწილებელი მოგება		189,166	773,313
სულ საკუთარი კაპიტალი		665,279	1,249,426
მიმდინარე ვალდებულებები			
კრედიტები	8	1,857,287	2,068,810
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	415,852	576,584
საიჯარო ვალდებულება		-	43,478
სულ ვალდებულებები		2,273,139	2,688,872
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,938,418	3,938,298

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 6 ივლისს დაამტკიცა:

გენერალური მენეჯერი

მილენკო მარკოვიჩ

ფინანსური მენეჯერი

ნინო

ტოტომვილი

შენიშვნები 9-19 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი	10	4,382,602	5,983,473
გაყიდვების თვითღირებულება	11	(3,604,519)	(4,501,671)
საერთო მოგება		778,083	1,481,802
სხვა შემოსავალი		18,618	29,651
კომერციული ხარჯები	12	(479,084)	(416,889)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(534,541)	(410,613)
გაუფასურების ზარალი	14	(714,723)	(107,070)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		(931,647)	576,881
ფინანსური შემოსავალი		5,998	4,673
ფინანსური ხარჯი		(61,586)	(69,856)
შემოსავალი უცხოურ ვალუტაში, წმინდა		403,088	267,317
სულ სრული (ზარალი)/შემოსავალი		(584,147)	779,015

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		476,113	(2,043,602)	(1,567,489)
სულ სრული შემოსავალი		-	779,015	779,015
დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების ეფექტი	9	-	2,037,900	2,037,900
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		476,113	773,313	1,249,426
სულ სრული ზარალი		-	(584,147)	(584,147)
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		476,113	189,166	665,279

შენიშვნები 9-19 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნა	2022	2021
საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადები			
(ზარალი)/მოგება გადასახადების გადახდამდე		(584,147)	779,015
კორექტირება:			
ცვეთა და ამორტიზაცია		39,260	38,389
უიმედო ვალის ცვლილებები	14	28,376	(40,287)
მარაგების გაუფასურება	14	686,347	147,357
(მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		(1,072)	1,278
ძირითადი საშუალებების ცვეთა		464	198
შემოსავალი პროცენტიდან	7	(5,998)	(4,673)
პროცენტის ხარჯი		61,586	69,856
გაცვლითი კურსის სხვაობის ეფექტი		(403,088)	(267,317)
ფულადი (გასული ნაკადები)/ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(178,272)	723,816
საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე			
მოძრაობა სამუშაო კაპიტალში			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება		74,134	261,005
მატერიალურ-საწარმოო მარაგების (გაზრდა)/ შემცირება		(64,876)	1,471,224
სავაჭრო და სხვა გადასახადების გაზრდა/(შემცირება) /		616,223	(2,653,300)
ფულადი ნაკადები/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან		447,209	(197,255)
საიჯარო ვალდებულებისთვის გადახდილი პროცენტი		-	(8,679)
დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტი		5,998	4,673
წმინდა ფულადი ნაკადები/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან		453,207	(201,261)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	4	(2,359)	(56,078)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		7,380	3,200
წმინდა ფულადი ნაკადები/(გადინება) საინვესტიციო საქმიანობიდან		5,021	(52,878)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულებისთვის გადახდილი ძირი		(40,164)	(27,526)
შემოსავალი სესხებიდან		-	1,484,775
სესხების დაბრუნება		(4,086)	(316,030)
წმინდა ფულადი ნაკადები/(გადინება) საფინანსო საქმიანობიდან		(44,250)	1,141,219
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		413,978	887,080
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7	955,972	117,039
გაცვლის ზარალი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(472,444)	(48,147)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	897,506	955,972

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს აგრიმატკო ჯორჯია (შემდგომში კომპანია, საიდენტიფიკაციო ნომერი (404860101)) არის შერეული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა 2010 წლის დეკემბერში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის 100%-ს ფლობს კვიპროსში რეგისტრირებული შპს აგრიმატკო HE.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, აკ. წერეთლის გამზირი, N151ა. კომპანიის გენერალური მენეჯერია მილენკო მარკოვიჩი. კომპანიის დირექტორია მიკოლა ბურიაკი.

კომპანიის საბოლოო აქციონერი და მკონტროლებელი მხარეა ხალედ ხ.ა. მიქდადი და მუსტაფა ხალილ აბდელ-რაჰიმ მიქდადი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დისტრიბუცია, საქმიანობის სფერო მოიცავს ნათესებისა და ნარგავების დაცვას, სპეციალურ სასუქებს, თესვებსა და სასოფლო-სამეურნეო იარაღებს.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მცირე და საშუალო სუბიექტების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, რომელიც შეიმუშავა საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების საბჭომ (ერთობლივად SME-ს IFRS).

კომპანია, რომელიც საქართველოშია რეგისტრირებული, საბუღალტრო ჩანაწერებს SME-ს IFRS-ის შესაბამისად, ქართულ ლარში აწარმოებს. ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადდა კომპანიის საბუღალტრო ჩანაწერების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL), რომელიც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას. საანგარიშო პერიოდი კომპანიისთვის არის კალენდარული წელიწადი 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსური ანგარიშგების რაოდენობები დამრგვალებული არარის, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების SME-ს IFRS-ს შესაბამისად მოსამზადებლად, აუცილებელია ზოგიერთი კრიტიკული საანგარიშო გათვლების გამოყენება. ასევე ამისთვის აუცილებელია, მენეჯმენტის მხრიდან ადეკვატურად განსჯა საადრიცხო პოლიტიკის გამოყენებისას. სფეროები, სადაც ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული იქნა მნიშვნელოვანი მსჯელობები და შეფასებები და მათი ეფექტი წარმოდგენილია მე-3 შენიშვნაში.

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი საადრიცხო პოლიტიკები მოყვანილია მე-18 შენიშვნაში.

გაზომვის საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და გააგრძელებს ოპერირებას უახლოეს მომავალში. მენეჯმენტსა და აქციონერებს აქვთ განზრახვა, სამომავლოდ განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტის რწმენით, ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება მიზანშეწონილია კომპანიისთვის.

3. კრიტიკული საადრიცხო გაანგარიშებები და განსჯები

კომპანია აკეთებს გარკვეულ გაანგარიშებებს და დაშვებებს მომავალთან დაკავშირებით. გაანგარიშებები და განსჯები მუდმივად ფასდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, როგორცაა სამომავლო მოვლენების მოლოდინი, რომელზეც არსებობს რწმენა, რომ მოცემულ მდგომარეობაში მოხდება. მომავალში, რეალური გამოცდილება შესაძლებელია აცდეს ამ გაანგარიშებებს და დაშვებებს. ქვემოთ განხილულია ის გაანგარიშებები და დაშვებები, რომლებსაც აქვთ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირების მნიშვნელოვანი რისკი მომდევნო ფინანსურ წელს.

ძირითადი საშუალებების ვარგისიანობის ვადა - ვარგისიანობის ვადის განმავლობაში ძირითადი საშუალებები უფასურდება. ვარგისიანობის ვადა დგინდება მენეჯმენტის მხრიდან დაშვების საფუძველზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოიტანს აქტივი შემოსავალს, რაც პერიოდულად გადახედვას ექვემდებარება, რათა მუდმივად იყოს რელევანტური. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვალებადობა საბალანსო ღირებულებისა და მთლიანი შემოსავლის ანგარიშგებაში კონკრეტულ პერიოდებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - გაუფასურება აღიარებულია მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (როგორცაა მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები კონტრაგენტის მხრიდან ან გადაუხდელობა ან გადახდის მნიშვნელოვანი დაგვიანება), რომ კომპანია ვერ შეაგროვებს ყველა გადასახდელ თანხას დებიტორული პირობებით, თანხის მიხედვით. ასეთი რეზერვი წარმოადგენს სხვაობას გაუფასურებულ დებიტორთან დაკავშირებული მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და მიმდინარე ღირებულებას შორის. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ვერ შეგროვდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისი რეზერვისგან.

3. კრიტიკული სააღრიცხვო გაანგარიშებები და განსჯები (გაგრძელება)

კოლექტიური გაუფასურების შემთხვევაში კომპანია იყენებს შემდეგ განაკვეთებს:

	განაკვეთი
1-30 ვადაგადაცილება	10%
31-90 ვადაგადაცილება	15%
91-120 ვადაგადაცილება	20%
121-180 ვადაგადაცილება	25%
181-360 ვადაგადაცილება	50%
360-ზე მეტი ვადაგადაცილება	100%

მატერიალურ-საწარმოო მარაგების გაუფასურება - გაუფასურებული მატერიალურ-საწარმოო მარაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საბალანსო ღირებულება სრულად ვერ იფარება (მაგ, დაზიანების, დამეცლების ან გასაყიდი ფასების შემცირების გამო). თუ მარაგის ერთეული (ან ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, კომპანია ზომავს მარაგს მისი გასაყიდი ფასით, შესრულებული და გაყიდვის ხარჯების გამოკლებით და ცნობს, როგორც გაუფასურების ზარალს.

4. ძირითადი საშუალებები

	მანქანები	ავეჯი და ოფისის ინვენტარი	IT ტექნიკა	სულ
ისტორიული ღირებულება				
2020 წლის 31 დეკემბრის მდგ.	305,496	38,325	16,992	360,813
დანამატი	46,713	3,927	5,438	56,078
რეალიზაცია	(8,413)	(360)	-	(8,773)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგ.	343,796	41,892	22,430	408,118
დანამატი	-	55	2,304	2,359
რეალიზაცია	(12,382)	(400)	(1,314)	(14,096)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგ.	331,414	41,547	23,420	396,381
დაგროვებული ცვეთა				
2020 წლის 31 დეკემბრის მდგ.	(98,285)	(14,292)	(10,450)	(123,027)
ცვეთა	(30,642)	(4,654)	(2,751)	(38,047)
რეალიზაცია	3,935	162	-	4,097
2021 წლის 31 დეკემბრის მდგ.	(124,992)	(18,784)	(13,201)	(156,977)
ცვეთა	(30,717)	(4,885)	(3,349)	(38,951)
რეალიზაცია	6,074	238	1,013	7,325
2022 წლის 31 დეკემბრის მდგ.	(149,635)	(23,431)	(15,537)	(188,603)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2021 წლის 31 დეკემბრის მდგ.	218,804	23,108	9,229	251,141
2022 წლის 31 დეკემბრის მდგ.	181,779	18,116	7,883	207,778

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური იჯარის უზრუნველყოფის სახით დაგირავებული იყო მანქანები, რომელთა წმინდა საბალანსო ღირებულება შეადგენს, შესაბამისად, 0 და 99 616 ლარს.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგი აქტივები მთლიანად ამორტიზებულია, მაგრამ მათ კიდევ იყენებს კომპანია

- მანქანები - 43,988 ლარის საერთო ისტორიული ღირებულებით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 0 ლარი)
- ავეჯი და ოფისის ინვენტარი - 7,794 ლარის საერთო ისტორიული ღირებულებით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 6,820 ლარი)
- IT ტექნიკა - 6,852 ლარის საერთო ისტორიული ღირებულებით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 4,324 ლარი)

5. მატერიალურ-საწარმოო მარაგები

	31.12.2022	31.12.2021
აგროქიმიკატები	1,361,507	1,753,102
თესლები	101,321	153,300
სასუქები	54,372	215,065
სხვა	36,637	53,841
	1,553,837	2,175,308

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარაგების ბალანსი მოიცავს მარაგების გაუფასურების ზარალს სავარაუდო გაყიდვის ფასამდე, შევსებისა და გაყიდვის ხარჯების გამოკლებით, შესაბამისად 686,347 ლარი და 147,357 ლარი.

მარაგების გაუფასურების რეზერვი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
აგროქიმიკატები	595,190	160,863
თესლები	121,068	30,665
სასუქები	59,647	19,408
სხვა	31,626	98
	807,531	211,034

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2022	31.12.2021
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	477,295	688,854
უიმედო ვალის რეზერვი	(244,447)	(216,071)
	232,848	472,783
არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ხელფასები	-	15,410
საგადასახადო აქტივები	4,863	5,238
სხვა გადახდები	39,884	60,435
	44,747	81,083
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	277,595	553,866

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოადგენს მიმდინარე მოთხოვნებს 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

არც ერთი მოთხოვნა არ განაპირობებს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას თავდაპირველი აღიარების შემდეგ. საკრედიტო რისკი იმართება კლიენტების კრედიტუნარიანობის შეფასებით კომპანიის სტანდარტული გადახდის და მომსახურების პირობების შეთავაზებამდე.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი ზარალის მაჩვენებელი	ზარალის რეზერვი
გაუფასურებულად განსაზღვრული მოთხოვნები კოლექტიურად			
მიმდინარე	197,807	0%	-
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	1,670	10%	167
31-90 დღიანი ვადაგადაცილება	15,768	15%	2,365
91 - 120 დღიანი ვადაგადაცილება	12,271	20%	2,454
121 - 180 დღიანი ვადაგადაცილება	13,757	25%	3,439
181 - 360 დღიანი ვადაგადაცილება	-	50%	-
360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	236,022	100%	236,022
სულ კოლექტიური გაუფასურება	477,295		244,447
სულ ფინანსური აქტივები	477,295		244,447

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი ზარალის მაჩვენებელი	ზარალის რეზერვი
გაუფასურებულად განსაზღვრული მოთხოვნები კოლექტიურად			
მიმდინარე	326,898	0%	-
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	2,699	10%	270
31-90 დღიანი ვადაგადაცილება	37,072	15%	5,561
91 - 120 დღიანი ვადაგადაცილება	34,128	20%	6,826
121 - 180 დღიანი ვადაგადაცილება	88,782	25%	22,196
181 - 360 დღიანი ვადაგადაცილება	36,115	50%	18,058
360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	163,160	100%	163,160
სულ კოლექტიური გაუფასურება	688,854		216,071
სულ ფინანსური აქტივები	688,854		216,071

უიმედო ვალის რეზერვების შეთანხმება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
1 იანვარს	(216,071)	(262,898)
გადასახადი წლისთვის	(28,376)	40,287
დებიტორული დავალიანების ჩამოწერა	-	6,540
31 დეკემბრის	(244,447)	(216,071)

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2022	31.12.2021
ფულადი სახსრები ბანკში ეროვნულ ვალუტაში	494,453	229,368
ფულადი სახსრები ბანკში უცხოურ ვალუტაში	403,053	726,604
	897,506	955,972

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მოიცავს ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს, ჯამური ოდენობით 5,998 ლარი და 4,673 ლარი, შესაბამისად. საპროცენტო შემოსავალი მიღებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

8. სესხები

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხები წარმოდგენილია დაკავშირებული მხარისგან მიღებული მოკლევადიანი სესხების სახით, ჯამური ოდენობით 1,857,287 ლარი და 2,068,810 ლარი, შესაბამისად. შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთი არის 3%.

მათი მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე, სესხების საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ რეალურ ღირებულებას.

საანგარიშო პერიოდის შემდეგ კომპანია და მსესხებელი შეთანხმდნენ გადახდის განახლებულ გრაფიკზე. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-16 შენიშვნა.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	406,312	573,755*
სხვა ვალდებულებები	9,540	2,829
	415,852	576,584

მთლიანი სავაჭრო ვალდებულების ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის მიეკუთვნება ტოპ პირველ მიმწოდებელს (2021 წლის 31 დეკემბერი: ტოპ მე-2).

წლის განმავლობაში საქონლის მთლიანი შესყიდვების 89% მიეკუთვნება ტოპ მე-2 მიმწოდებელს (2021: ტოპ 3 – 100%).

(*) - 2021 წლის 8 აგვისტოს კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება აგრიმატკო FZCO-სთან. ხელშეკრულების საგანია 2015-2018 წლებში მიწოდებული საქონლის შედეგად დაგროვილი 657,535.65 აშშ დოლარის (2,037.900 ლარის) სავაჭრო ვალდებულების პატიება.

ვალის პატიების გადაწყვეტილება მიიღეს ძირითადად აქციონერებმა, ამიტომ ტრანზაქცია განიხილება, როგორც მშობელი კომპანიის მიერ შეტანილი შენატანი და ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღირიცხა, როგორც საკუთარი კაპიტალის კომპონენტი.

10. შემოსავლები

	2022	2021
აგროქიმიკატები	3,995,742	5,615,544
სასუქები	245,194	210,413
თესვები	139,249	154,115
სხვა	2,417	3,401
	4,382,602	5,983,473

11. გაყიდვების თვითღირებულება

	2022	2021
აგროქიმიკატები	(3,326,026)	(4,241,142)
სასუქები	(188,456)	(166,266)
თესვები	(88,536)	(92,028)
სხვა	(1,501)	(2,235)
	(3,604,519)	(4,501,671)

12. კომერციული ხარჯები

	2022	2021
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა ანაზღაურება	(182,267)	(173,419)
ქირის ხარჯი	(115,325)	(83,909)
საწვავი	(54,791)	(45,228)
შეკეთება და მოვლა	(30,771)	(20,238)
ცვეთა და ამორტიზაცია	(30,717)	(30,642)
დაზღვევა	(24,624)	(25,589)
სარეკლამო ხარჯები	(11,093)	(16,025)
სხვა	(29,496)	(21,839)
	(479,084)	(416,889)

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა ანაზღაურება	(362,199)	(238,799)
საგადასახადო ხარჯები, საშემოსავლო გადასახადის გარდა	(52,848)	(42,276)
პროფესიული მომსახურება	(34,232)	(36,082)
ქირის ხარჯი	(14,835)	(13,509)
ცვეთა და ამორტიზაცია	(8,543)	(7,747)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(7,083)	(5,796)
დაზღვევა	(6,402)	(4,166)
სხვა ხარჯი	(6,143)	(6,656)
სამივლინებო ხარჯი	(5,222)	(9,363)
ბანკის გადასახადები	(2,393)	(2,251)
შეკეთება და მოვლა	(609)	(12,859)
სხვა	(34,032)	(31,109)
	(534,541)	(410,613)

მენეჯმენტის ძირითადი ანაზღაურება მოცემულია მე-15 შენიშვნაში.

14. გაუფასურების ზარალი

	2022	2021
ცვლილებები უიმედო ვალის რეზერვში	(28,376)	40,287
მატერიალურ-საწარმოო მარაგების ცვეთა	(686,347)	(147,357)
	(714,723)	(107,070)

15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც ეს განსაზღვრულია IFRS-ით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის 33-ე ნაწილში, დაკავშირებულ მხარეთა განმარტებაში, წარმოადგენს:

(a) პირი ან ამ პირის ოჯახის ახლო წევრი დაკავშირებულია ანგარიშვალდებულ სუბიექტის, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშგების მწარმოებელი სუბიექტის ან მისი მშობელი კომპანიის ძირითადი მმართველი

პერსონალის წევრი;

(ii) აქვს კონტროლი ან ერთობლივი კონტროლი სუბიექტზე; ან

(iii) აქვს მნიშვნელოვანი გავლენა სუბიექტზე.

16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

(b) სუბიექტი ითვლება ანგარიშგების წარმდგენ სუბიექტად დაკავშირებულად იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე გარემოებას:

- (i) სუბიექტი და ანგარიშგების წარმდგენი სუბიექტი არიან ერთი და იგივე ჯგუფის წევრი (რაც ნიშნავს, რომ ყოველი მშობელი და შვილობილი კომპანია დაკავშირებულია სხვებთან).
- (ii) ერთი ერთეული არის მეორე ერთეულის ასოცირებული ან ერთობლივი საწარმო (ან პარტნიორი ან ერთობლივი საწარმო იმ ჯგუფის წევრისა, რომლის წევრიც არის მეორე სუბიექტი).
- (iii) ორივე სუბიექტი არის ერთი და იგივე მესამე სუბიექტის ერთობლივი საწარმო.
- (iv) ერთი სუბიექტი არის მესამე სუბიექტის ერთობლივი საწარმო, ხოლო მეორე სუბიექტი არის მესამე სუბიექტის პარტნიორი.
- (v) სუბიექტი წარმოადგენს დასაქმების შემდგომი სარგებლის გეგმას ანგარიშგების წარმდგენი სუბიექტის ან ანგარიშგების წარმდგენ სუბიექტთან დაკავშირებული სუბიექტის თანამშრომლების სასარგებლოდ. თუ ანგარიშგადაღებული სუბიექტი თავად წარმოადგენს ასეთი გეგმა, დამფინანსებელი დამსაქმებლები ასევე დაკავშირებულია ანგარიშგების წარმდგენ სუბიექტთან.
- (vi) სუბიექტს აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს პირი, რომელიც განსაზღვრულია (ა) პუნქტში.
- (vii) სუბიექტი ან ჯგუფის ნებისმიერი წევრი, რომლის ნაწილიც ის არის, უწევს ძირითადი მმართველი პერსონალის მომსახურებას ანგარიშგის წარმდგენ სუბიექტს ერთეულს ან ანგარიშგების ერთეულის მშობელ კომპანიას.
- (viii) (a)(ii) პუნქტში განსაზღვრულ პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა სუბიექტზე ან არის ერთეულის (ან ერთეულის მშობელი კომპანიის) ძირითადი მმართველი პერსონალის წევრი.

თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეთმობა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

		31.12.2022	31.12.2021
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	საერთო კონტროლის სუბიექტი	406,312	476,444
სესხები	საერთო კონტროლის სუბიექტი	1,857,287	2,068,810
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
პროცენტის ხარჯები	საერთო კონტროლის სუბიექტი	(61,586)	(55,370)
თანამშრომლის მოკლევადიანი ბენეფიტები	ძირითადი მმართველი	(269,823)	(180,124)

15. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ**შესწორება სესხის ხელშეკრულებაში**

საანგარიშო პერიოდის შემდეგ, 2023 წლის მარტში კომპანიამ და მსესხებელმა გააფორმეს სესხის ხელშეკრულების ცვლილება გადახდის პერიოდის გადავადებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, შპს აგრიმატკო ჯორჯიამ უნდა გადაიხადოს:

- სესხის და დარიცხული პროცენტის 25% 2023 წლის 31 დეკემბრამდე,
- სესხის და დარიცხული პროცენტის 37.5% 2024 წლის 31 დეკემბრამდე,
- სესხის და დარიცხული პროცენტის 37.5% 2025 წლის 31 დეკემბრამდე.

16. ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები**სასამართლო საქმეები**

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს სამართლებრივი საქმეები და საჩივრები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ საბოლოო ვალდებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელიც შეიძლება წარმოიშვას საჩივრებიდან გამომდინარე, არ იქონიებს არსებით უარყოფით გავლენას კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მომავალი ოპერაციების შედეგებზე. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვი არ არის დარიცხული.

17. ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

2022 წლის ივნისში კომპანიამ შემოიტანა ორი სახის თესლი, დადგინდა, რომ პროდუქცია შეიცავდა გენმოდულირებულ ორგანიზმებს. ამის შედეგად საქონელი შეჩერებულია საბაჟოზე საქართველოს საზღვარზე. ასე რომ, კომპანიას არ შეუძლია გამოიყენოს და/ან გაყიდოს ეს საქონელი. ამ ფაქტის გამო, სუბიექტმა გააუფასურა თესლის მთლიანი რაოდენობა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ეს ფაქტი არ მოახდენს რაიმე დამატებით არსებით უარყოფით გავლენას კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მომავალი ოპერაციების შედეგებზე. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ფინანსურ ანგარიშგებაში დამატებითი რეზერვები არ არის დარიცხული.

გადასახადები

განსაკუთრებით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობამ შეიძლება გამოიწვიოს განსხვავებული ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, იმის გამო, რომ მენეჯმენტის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისგან, ტრანზაქციები შეიძლება იყოს გასაჩივრებული საგადასახადო ორგანოების მიერ და შედეგად კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. კომპანიას მიაჩნია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი და, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში არანაირი დანამატები არ განხორციელებულა. საგადასახადო წლები ღია რჩება საგადასახადო ორგანოების მიერ სამი წლის განმავლობაში განსახილველად.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული რეზერვები აღიარებულია, როდესაც შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სანდო შეფასება. პირობითი ვალდებულებებთან დაკავშირებული რეზერვები არ იქნება აღიარებული, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. ვალდებულებები ჯარიმებზე, პროცენტებზე და გადასახადებზე, საშემოსავლოს გარდა, აღიარებულია ხელმძღვანელობის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო დანახარჯების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. საკუთარი შეფასებებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე, ხელმძღვანელობა თვლის, რომ დამატებითი მატერიალური ზარალი არ დაეკისრება საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით, გარდა იმისა, რომელიც უკვე აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოგებასთან დაკავშირებით გადახდილი საშემოსავლო გადასახადი მეორედ არ დაიბეგრება. თუ კომპანია 2017 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოგებას სრულად გაანაწილებს, კომპანიას დაეკისრება ჯამური ოდენობით 28 375 ლარის საშემოსავლო გადასახადი.

საოპერაციო გარემო

განვითარებადი ბაზრები, როგორცაა საქართველო, ექვემდებარება განსხვავებულ რისკებს, ვიდრე უფრო განვითარებული ბაზრები, მათ შორისაა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, ასევე სამართლებრივი და საკანონმდებლო რისკები. საქართველოში ბიზნესზე მოქმედი კანონები და რეგულაციები სწრაფად იცვლება, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ გატარებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკურ გარემოში განვითარებულ მოვლენებთან ერთად.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

ქვემოთ მოცემულია ამ ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები. ეს პოლიტიკები მუდმივად მოქმედებდა ყველა მოცემული პერიოდის განმავლობაში, თუ სხვაგვარად არ არის მოცემული.

უცხოური ვალუტის ასახვა

ფულადი აქტივები და ვალდებულებები ითარგმნება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით. სავალუტო მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში წლის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსით გადაცვლის შედეგად, აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლო განაკვეთებით გაცვლა არ ვრცელდება არაფულად საშუალებებზე. უცხოური ვალუტის ნაშთების ქართულ ლარში გაცვლისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო:

	EUR	USD
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის	2.8844	2.7020
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის	3.5040	3.0976

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად იზომება ტრანზაქციის ფასით (ეს მოიცავს ტრანზაქციის ღირებულებას, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი შეფასებისა, რომლებიც შეფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის მეშვეობით). თუმცა, თუ შეთანხმება წარმოადგენს საფინანსო ტრანზაქციას, ის მაშინ იზომება მომავალი გადახდების ამჟამინდელი ღირებულებით, დისკონტირებული ბაზარზე დაკავშირებული საპროცენტო განაკვეთით.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარებულია თავდაპირველად გარიგების ფასით. ისინი შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს შეაგროვოს ყველა კუთვნილი თანხა დებიტორული დავალიანების საწყისი პირობების მიხედვით.

სავაჭრო და სხვა პასუხისმგებლობები

სავაჭრო და სხვა პასუხისმგებლობები აღიარებულია თავდაპირველად გარიგების ფასით. ისინი შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით, რეალური შემოსავლის საფუძველზე.

სესხები

სესხები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. შემდგომში სესხები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს მცირე თანხას, რომელიც ინახება ოფისში, თანხას, ფულად თანხას ინახება ბანკში, გადმორიცხულ თანხებს, დეპოზიტებს და სავაჭრო ფასიან ქაღალდებს, რომელთა თავდაპირველი ვადა არ აღემატება სამ თვეს.

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ნივთების შეძენას.

ძირითადი საშუალებების ერთეულები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით. შესყიდვის ფასთან ერთად, ღირებულება მოიცავს უშუალოდ მიკუთვნებულ ხარჯებს და ნივთების დემონტაჟისა და ამოღების ნებისმიერი მომავალი გარდაუვალი ხარჯების სავარაუდო ამჟამინდელ ღირებულებას. შესაბამისი ვალდებულება აღიარებულია რეზერვებში.

შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, როდესაც სავარაუდოა, რომ პუნქტთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი მიეძინება კომპანიაში და ნივთის ღირებულება შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულება გაუქმებულია. ყველა სხვა შეკეთება და ტექნიკური მომსახურება აისახება მოგება-ზარალში იმ ფინანსური პერიოდის განმავლობაში, რომელშიც ისინი წარმოიქმნება.

აქტივის ამორტიზაცია იწყება მაშინ, როდესაც ის ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად, ანუ როდესაც ის იმყოფება იმ ადგილას და მდგომარეობაში, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ შეძლოს იმუშაოს მენეჯმენტის მიერ გათვალისწინებული წესით. ამორტიზაცია არ წყდება, როდესაც აქტივი უმოქმედოა ან შეწყვეტს აქტიურ ფუნქციონირებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი მთლიანად ამორტიზებულია.

ცვეთის დარიცხვა ხდება ძირითადი საშუალებებისა საბალანსო ღირებულებაზე და მიზნად ისახავს აქტივების ჩამოწერას მათი ვარგისიანობის ეკონომიკური ვადის განმავლობაში. ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდით შემდეგ ვარგისიანობის ვადებში:

	ვარგისიანობის ვადა (წელი)
მანქანები	10
ავეჯი და ოფისის ინვენტარი	7
IT აღჭურვილობა	5

აქტივების ნარჩენი ღირებულებები და ვარგისიანობის ვადები გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ყოველი საანგარიშო თარიღისთვის კომპანია აფასებს არის თუ არა რაიმე მაჩვენებელი იმისა, რომ რომელიმე აქტივი შეიძლება გაუფასურებული იყოს. თუ არსებობს ნიშნები შესაძლო გაუფასურების შესახებ, ნებისმიერი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული აქტივის (ან დაკავშირებული აქტივების ჯგუფის) ანაზღაურებადი თანხა ფასდება და დარდება მის საბალანსო ღირებულებასთან. თუ სავარაუდო ანაზღაურებადი თანხა უფრო დაბალია, საბალანსო ღირებულება მცირდება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარებულია დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

მატერიალურ-საწარმოო მარაგები

მატერიალურ-საწარმოო მარაგები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით და შემდგომში თვითღირებულებით და წმინდა რეალიზებადი ღირებულებით. ღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველა ხარჯს, კონვერტაციის ღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომლებიც გაწეულია მარაგების ამჟამინდელ მდებარეობასა და მდგომარეობამდე მიყვანისას. ჩვეულებრივ ურთიერთშემცველი ნივთების ღირებულების დასადგენად გამოიყენება შეწონილი საშუალო.

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება (გაგრძელება)

დაბეგვრა

საშემოსავლო გადასახადის ხარჯი წარმოადგენს ამჟამად გადასახდელი გადასახადის ჯამს. ამჟამად გადასახდელი გადასახადი ეფუძნება წლის დასაბეგრ მოგებას. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგების ანგარიშგებაში მოხსენებული მოგებისგან, რადგან მასში არ შედის ის შემოსავლები და დანახარჯები, რომლებიც არ დაიბეგრება ან გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის ვალდებულება მიმდინარე გადასახადზე გამოითვლება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ამოქმედდა ან არსებითად ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიური ხასიათის გამო, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის არ არსებობს სხვაობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საგადასახადო აქტივები ან საგადასახადო ვალდებულებების დაგვიანება.

საშემოსავლო გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღიარებულია, როდესაც ხდება სავალდებულო მოვლენები. სავალდებულო მოვლენები არის მოვლენა, რომელიც იწვევს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია აქტივებად. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ უნდა გადაიხადოს გადასახადები ერთიან სახაზინო კოდზე, რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის. შედეგად, კომპანია წარმოადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს წმინდად როგორც საგადასახადო აქტივებს ან საგადასახადო ვალდებულებებს.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც იჯარის პირობები გადასცემს კომპანიას იჯარით აღებული აქტივის მფლობელობის არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

ფინანსური იჯარით მფლობელობაში მყოფ აქტივებზე უფლებები აღიარებულია კომპანიის აქტივებად იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულებით (ან, თუ უფრო დაბალია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით) იჯარის დაწყებისას. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. იჯარის გადახდები გადანაწილებულია ფინანსურ ხარჯებსა და იჯარის ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ მიღწეული იყოს მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსური ხარჯები გამოიქვითება მოგების ან ზარალის გაზომვისას. ფინანსური იჯარით გათვალისწინებული აქტივები შედის ძირითად საშუალებებში, ცვეთა ფასდება გაუფასურების ზარალზე ისევე, როგორც საკუთრებაში არსებული აქტივები.

როდესაც კომპანია არის მოიჯარე იჯარაში, რომელიც არ გადასცემს საკუთრებაში არსებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს მეიჯარისგან კომპანიას, იჯარის მთლიანი გადასახადები დაირიცხება წლის მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარის ვადა არის პერიოდი, რომელიც გაუქმებას არ ექვემდებარება და რომლისთვისაც მოიჯარე დაუკავშირდა აქტივის იჯარისთვის სხვა პირობებთან ერთად, რომლისთვისაც მოიჯარეს აქვს შესაძლებლობა გააგრძელოს აქტივის იჯარა, შემდგომი გადახდით ან მის გარეშე, როდესაც იჯარის დაწყებისას, იგი გონივრულ ფარგლებში დარწმუნებულია, რომ მოიჯარე გამოიყენებს საშუალებას. კომპანიას არ აქვს იჯარა, რომელიც არ ექვემდებარება გაუქმებას.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში და ა.შ.) უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის საკუთარ კაპიტალში იმ რაოდენობით, რამდენადაც იგი შეტანილია მფლობელების მიერ კომპანიაში.

შემოსავალი არის ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშო პერიოდში აქტივების შემოდივნის ან გაზრდის სახით ან ვალდებულებების შემცირების სახით, რაც იწვევს საკუთარი კაპიტალის ზრდას, გარდა იმ კაპიტალისა, რომელიც დაკავშირებულია მფლობელების შენატანებთან. ჩანაწერი „გარდა იმ ჩანაწერისა, რომელიც ეხება მესაკუთრეთა შენატანებს“ არ ცნობს მფლობელის მიერ შესრულებულ შენატანს შემოსავალად. ამრიგად, მფლობელის მიერ შეტანილი შენატანების ეფექტი აღირიცხება, როგორც კაპიტალის კომპონენტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

შემოსავალი

